



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

თეთრი სოფელი

თეთრი სოფელი, ნასოფლარი ისტორიულ ქვემო ქართლში, მარნეულის მუნიციპალიტეტში. მდებარეობს შულავრისწყლის მარცხ. შენაკად ბინაძორის მარჯვ. სანაპიროზე. სომხ. მოსახლეობა მას „სპიტაკშენს“ უწოდებს, რაც ქართ. სახელწოდების შესატყვისია.

1632–58 ბირთველმა თუმანიშვილმა თ. ს-სა და შულავრის საცილობელი მამულის დავა ასე განაჩინა: რასაც თეთრი სოფლები მოხნავდნენ, ქერის, ბამბის ან ფეტვის ღალა იორამ ბატონიშვილისთვის უნდა გადაეცათ; სარწყავის გასაყოფად ერთი მერუე სოფლის მამასახლისს უნდა გამოეყვანა, ორი – შულავრისას.

1695–1703 მეფე ერეკლე I-მა დურმიშხან ალიხანაშვილს უბოძა კულუხის სითარხნე შულავრელი ბოშაშვილისაგან ნასყიდ ვენახზე, რ-იც თ. ს-ის კუთვნილი მიწა იყო. 1628 ვახუშტი როჭიკაშვილს თათრები სთხოვდნენ მიწაზე დადებულ გადასახადს თ. ს-იდან.

დასტურლამალის მიხედვით თ. ს-ის მალზე გადაკვეთილი იყო კაცის თავზე ნახევარშაური სახლთ-ხუცის სარგო და ასევე მდიდარი ბეგის სარგო. 1721 აღწერით იქ ითვლებოდა ერთი მებატონე და 10 გამომღები ყმა. 1784 ერთი საბუთიდან ჩანს, რომ ნადირ-შაჰის დროს მეფის სახასო თ. ს. ქაიხოსრო ციციშვილს „უშოვნია“, მაგრამ შემდგომში ისევ „ხელი აუღია“. 1802 სულხან თუმანოვი არბით არწმუნებდა დარეჯან დედოფალს, რომ თ. ს-ის მამულში გლახა როჭიკაშვილს წილი აღარ ეკუთვნოდა; მართალია ძვ. სიგელები ჰქონდა, მაგრამ მეფეებს მამულები მაინც ჩამოურთმევიათ და როჭიკაშვილთა რამდენიმე თაობას აქ აღარაფერი გააჩნდა.

წყარო და ლიტ.: დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, I, ნ. ბერძენიშვილის რედ., თბ., 1940; ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე ი ას., ქვემო ქართლი I-II, თბ., 1936; ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის გამოც., ტ. 2, თბ., 1965; ტ. 4-5, თბ., 1972-74; ტ. 8, თბ., 1985.

დ. ბერძენიშვილი
